



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1180
14/06/2018

ქალაქი ბათუმი

1180-05-4-201806141743



სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე ჯოჭოსწყლის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადებისათვის კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 27 მარტის N05/2731 წერილით სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების თანახმად ეთხოვა სოფელ ერგეში, მდინარე ჯოჭოსწყლის კალაპოტში არსებული ჭარბი აკუმულაციური უბნებიდან ინერტული ნატანის ამოღების საკითხთან დაკავშირებით გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება, ხოლო აღნიშნული წერილის პასუხად, სსიპ - წიადის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის №22/2359 კორექსონდენციით მოგვეწოდა გეოსაინფორმაციო პაკეტები და ა4 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკა.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების მე-7⁴ მუხლის თანახმად ტერიტორიის დატბორვის საშიშროების არსებობისას, შესაბამისი მუნიციპალიტეტი სააგენტოს გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე, ინფორმაციას მდინარის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ჭარბი ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ავრცელებს საჯაროდ გამოცხადების და/ან ინფორმაციის სხვა ფორმით გავრცელების საშუალებით. ინტერესთა ვადის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის განიხილავს შესულ განცხადებებს, შეარჩევს დაინტერესებულ პირს და შესაბამისი დასაბუთებული წინადადებით მიმართავს სამინისტროს, საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობის თხოვნით, მდინარის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ჭარბი ინერტული მასალის ამოღებით დაინტერესებული პირის, გარკვეული ვადით, ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოებების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის რეზო ვარშანიძის 2018 წლის 13 ივნისის №1700-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე სოფელ ერგეში, მდინარე ჯოჭოსწყლის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით

ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადების და/ან ინფორმაციის სხვა ფორმით გავრცელების უზრუნველსაყოფად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რეზო ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგარარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) ნონა ქოქოლაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

ე) მერაბ გვიანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებულ მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა